

შპს გრანდე ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება.....	8
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	11

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	895,661	31,030	213
დებიტორული დავალიანება	4	632,451	2,976,659	-
სასაქონლო მატერიალური მარაგები		3,700,619	890,133	1,963
მისაღები პროცენტები		38,443	44,080	-
გაცემული სესხები		7,241,940	5,777,100	-
გაცემული ავანსები		127,946	11,464	40
წინასწარ გადახდილი გადასახადები		310,493	270,711	33,695
ჯამურად მიმდინარე აქტივები		12,947,554	10,001,177	35,719
ძირითადი საშუალებები	5	23,588,268	23,164,738	10,673,359
არამატერიალური აქტივები		2,250	-	-
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		23,590,517	23,164,738	10,673,359
სულ აქტივები		36,538,072	33,165,914	10,709,270
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	6	13,397	15,723	800
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1,125	1,125	-
მიღებული ავანსები		1,619,215	-	-
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		1,633,737	5,384	
გრძელვადიანი სესხები	7	7,241,940	5,777,100	-
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		7,241,940	5,777,100	-
სულ ვალდებულებები		8,875,677	5,793,948	800
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		28,534,297	27,638,364	10,893,315
დაუფარავი ზარალი		(871,902)	(266,398)	(184,845)
სულ კაპიტალი		27,662,395	27,371,966	10,708,470
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		36,538,072	33,165,914	10,709,270

დირექტორი
გოჩა ჯომიდავა

27 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო



შპს გრანდე ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	3,644
თვითღირებულების ხარჯები	9	(3,300)
სულ მთლიანი მოგება		344
საოპერაციო ხარჯები	10	(743,232)
სულ საოპერაციო ხარჯები		(743,232)
არასაოპერაციო მოგება		3,601,977
არასაოპერაციო ზარალი		(3,464,593)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		134,084
მოგება დაბეგვრამდე		(605,504)
მოგების გადასახადი		-
წმინდა ზარალი		(605,504)

დირექტორი
გოჩა ჯომიდავა

27 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო



შპს გრანდე ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	ჯამურად
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,638,364	(266,398)	27,371,966
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	(605,504)	(605,504)
კაპიტალის გაზრდა	895,932	-	895,932
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,267,898	(605,504)	27,662,394

დირექტორი
გოჩა ჯომიდავა

27 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო



შპს გრანდე ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს გრანდე ჯგუფი (ს/ნ 404557127) რეგისტრირებულია “მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2018 წლის 26 აპრილს. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის შესახვევი N17.

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს :

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა;
- ხორბლის შესყიდვა-რეალიზაცია;
- სხვა ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა.

საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი , კრწანისის რაიონი, კრწანისის შესახვევი N17.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში მსს ფასს-ის შესაბამისად.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ძალაშია 2020 წლის 01 იანვრიდან და იმოქმედებს საწარმოს ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისთვის გამოიყენება ორმაგი ჩაწერის მეთოდი.

ბუღალტრული ანგარიშგებაში ჩანაწერების შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

საწარმოს ბუღალტერიაში შემოსული დოკუმენტი ექვემდებარება შემოწმებას როგორც ფორმის, ასევე შინაარსის, ცალკეული მაჩვენებლის ლოგიკური და არითმეტიკული სიზუსტის მიხედვით.

ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღრიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით, და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მოვლენას ჰქონდა ადგილი.

საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საბუღალტრო პროგრამა “ORIS” მეშვეობით“.

ბუღალტერია პასუხისმგებელია აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ძირითადი საშუალების მიღებისა და გასვლის ქრონოლოგიურ და თავისდროულ ასახვაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდია- დარიცხვის მეთოდი.

საწარმოს დაფინანსების წყაროებია- დამფუძნებლის მიერ შემოტანილი კაპიტალი; სესხი და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

კომუნალური მომსახურეობის ბუღალტრულ ჩანაწერებში აღრიცხვა ხდება მისი წარდგენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, რომელ პერიოდშიც მოხდა მისი წარდგენა.

ხელფასის დარიცხვის საფუძვლებია - შედგენილი ტაბელები, უწყისები და დირექტორის ბრძანებები.

შპს გრანდე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ოპერაციებით განსაზღვრული დრო დგება მაშინ, როცა ხელშეკრულება ხელმოწერილია და ოპერაციის შესაბამისად ხდება ფინანსური აქტივის წარმოშობა ან გაუქმება.

მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკები

მოკლევადიან/გრძელვადიან მუხლებად კლასიფიკაცია საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.

აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც.

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ.

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე.

ამონაგები მომსახურების გაწვიდან

შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან აღიარდება ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე დაყრდნობით. ხელშეკრულების შესრულების ეტაპი განიმარტება ისეთი სახელშეკრულებო განაკვეთებით, როგორიც არის გადამუშავებული პროდუქციის სახელშეკრულებო ფასი.

გადავადებული შემოსავალი

წარმოებული საქონლისთვის მიღებული ავანსები გადავადებული შემოსავლის სახით აღიარდება. კომპანია შემოსავალს აღიარებს კლიენტისთვის შესაბამისი პროდუქციის მიწოდებისას.

საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ხდება უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან

შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან აღიარდება ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე დაყრდნობით. ხელშეკრულების შესრულების ეტაპი განიმარტება ისეთი სახელშეკრულებო განაკვეთებით, როგორც არის გადამუშავებული პროდუქციის სახელშეკრულებო ფასი.

გადავადებული შემოსავალი

წარმოებული საქონლისთვის მიღებული ავანსები გადავადებული შემოსავლის სახით აღირიცხება. კომპანია შემოსავალს აღიარებს კლიენტისთვის შესაბამისი პროდუქციის მიწოდებისას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება. შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მისაღები თანხის მიღებას დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსი.

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის

შპს გრანდე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

ძირითად საშუალებად აღიარდება 300 ლარზე მეტი ღირებულების მქონე აქტივი. 300 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათი ექსპლუატაციაში შესვლისთანავე ექვემდებარება ჩამოწერას 7000 საბუღალტრო ანგარიშებზე, როგორც ხარჯვადი აქტივი.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

საოფისე აღჭურვილობა ავეჯი 5-10 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთლმოწყობა 6 წელი;

კომპიუტერული აღჭურვილობა 5 წელი.

მიწის აღრიცხვა

მიწა კლასიფიცირდება, როგორც გრძელადიანი აქტივები. ბალანსში ასახულია გადახდილ ფასზე საკუთრების უფლების მოპოვებასთან გაწეული ხარჯების დამატებით.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების „სხვა საოპერაციო წმინდა მოგებაში“.

არამატერიალური აქტივები.

არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია 3-5 წლით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

შპს გრანდე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მატერიალური მარაგების აღრიცხვა

მატერიალური მარაგების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, დაკავშირებულ ყველა დანახარჯს (შემენის ფასს, ყველა გადასახადების ჩათვლით, სატრანსპორტო ხარჯებს და ყველა იმ დანახარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მატერიალური მარაგების შეძენასთან) შემენის წყაროების მიხედვით.

მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით.

მარაგები, რომელთა ერთობლიობა საწარმოს მიერ გამოყენებული არის მშენებლობის პროცესში, როგორც ამ ერთეულებიდან წარმოქმნილი მშენებლობისათვის აუცილებელი კონსტრუქცია (ხარაჩო, დგარი, კოლონა), გადაიტანება საწარმოს ძირითად საშუალებათა ბალანსში და ექვემდებარება აღრიცხვას, როგორც ამ პოლიტიკით განსაზღვრული ძირითადი საშუალების ნაწილი.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები.

დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადი წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

შპს გრანდე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

საოპერაციო იჯარა.

როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოზე, სადაც გამოიყენება აქტივი. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება.

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლებისგან დავალიანებების ამოღებადობის შეფასებაზე. ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა თუ გაუარესებულია ან ფაქტობრივი დეფოლტები შეფასებულზე უფრო მეტია, მაშინ ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავებული იქნეს შეფასებულისაგან. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანება გაუფასურებულია, მიუხედავად იმისა ეს მნიშვნელოვანია თუ არა, ის ამ დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფს მიაკუთვნებს და ამ ჯგუფს კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. გაუფასურებაზე კოლექტიურად შეაფასების მიზნებისათვის ფინანსურ აქტივებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების

შპს გრანდე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემქნასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

შპს გრანდე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შემენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა

შპს გრანდე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

შენიშვნა 4 - ფულადი სახსრები	12/31/2020	12/31/2019
ლარები საბანკო ანგარიშებზე	895,661	31,019
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	11
სულ ფულადი სახსრები	895,661	31,030

შენიშვნა 5 - დებიტორული დავალიანება	12/31/2020	12/31/2019
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	632,454	2,976,368
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(3)	292
მთლიანი დებიტორული დავალიანება	632,451	2,976,659

შპს გრანდე ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 6 -
ძირითადი
საშუალებები

მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი	შენიშვნა- ნაკვეთები	მანქანა - დანადგარები	აღჭურვილობა	ოფისის კონსტრუქციები	სამშენებლო კონსტრუქციები	სატრანსპორტო საშუალებები	არამატე რიალური აქტივები	ჯამურად
22,441,841	206,093	-	39,646	14,181	460,222	12,076			23,174,059
22,441,841	-	72,939	54,231	41,903	1,017,918	172,527	2368		23,801,357
საწყისი ღირებულება									
ბალანსი 31/12/2019									
ბალანსი 31/12/2020									
აკუმულირებული ცვეთა									
-	-		(831)	(417)	(7,857)	(216)	-		(9,322)
31.12.2019									
ცვეთა									
-	-	(12,634)	(12,353)	(7,347)	(166,706)	(14,050)	(118)		(213,208)
პერიოდისათვის 31.12.2020									
წმინდა ღირებულება									
22,441,841	206,093	-	38,815	13,764	452,365	11,860			23,164,738
22,441,841	-	60,305	41,878	34,556	851,212	158,477	2,250		23,590,517
ბალანსი 31/12/2019									
ბალანსი 31/12/2020									

შენიშვნა 7 - კრედიტორული დავალიანება	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	13,397	15,723	800
მიღებული ავანსები	1,619,215	-	-
გადასახდელი ხელფასები	1,125	1,125	-
სულ კრედიტორული დავალიანება	1,633,737	16,848	800

შენიშვნა 8 - გრძელვადიანი სესხები	12/31/2020	12/31/2019
გრძელვადიანი სესხები	595,078	544,988
გადასახდელი პროცენტები	120,459	120,459
სულ კრედიტორული დავალიანება	715,537	665,447

შენიშვნა 9 - შემოსავლები რეალიზაციიდან	2020 წელი
შემოსავლები მასალების რეალიზაციიდან	2,797
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	847
სულ საოპერაციო შემოსავლები	3,644

შპს გრანდე ჯგუფი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 11 - საოპერაციო ხარჯები	2020 წელი
ხელფასის ხარჯები	273,382
ცვეთის ხარჯი	203,887
რეკლამის ხარჯები	76,180
ბანკის მომსახურების საკომისიო	5,594
კომუნალური ხარჯები	11,321
სხვადასხვა სამშენებლო ხარჯი	62,170
საკომუნიკაციო ხარჯები	4,350
საოფისე ხარჯები	46,521
დაზღვევის ხარჯები	1,065
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	26,271
საკონსულტაციო ხარჯები	2,374
საპენსიო ხარჯი	14,854
საგადასახადო ხარჯები	18,565
სულ საოპერაციო ხარჯები	746,532

შპს გრანდე ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შენიშვნა 13 - პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

შპს გრანდე ჯგუფს დაკისრებული აქვს ჯარიმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მხრიდან :

I საგადასახადო აქტის მიხედვით - 2,105,490 ლარი .

- 1.შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ბრძანება N36360 (07.12.2021);
- 2.შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დანართი N1-09;
- 3.შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო შემოწმების აქტი N2973(09.11.2020).

II საგადასახადო აქტის მიხედვით - 793,910 ლარი:

- 1.შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ბრძანება N36877 (11.12.2021);
- 2.შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დანართი N1-09;
- 3.შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო შემოწმების აქტი N3203(30.11.2020).

დავის საგანს წარმოადგენს განხორციელებული ოპერაციის ფიქტიურად მიჩნევის საკითხი და ანგარიშ-ფაქტურებით შეძენილი საქონლის არ გათვალისწინების გამო განხორციელებული დარიცხვები.

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამ იღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2016 და 2017 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

შენიშვნა 14 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან, ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2020 წელი
გენერალური დირექტორი	45750

შენიშვნა 15 - კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

შენიშვნა 16 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 17 - ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს.

შპს გრანდე ჯგუფი (ს/ნ 404557127)

დირექტორი

თარიღი



დოქა ჯომიდავა

27.09.2021